

# “ეს ვინანსური პრიზისი დიდი დარტყმის ქვეშ აყენებს დოლარის რეალურ მსყიდველობით უნარს”

გაზეთი “კვირის ქრონიკა” – 6-11 ოქტომბერი, № 40, 2008

რა პრობლემები შეიძლება შეუქმნას საქართველის ეკონომიკას მსოფლიოში მიმდინარე საფინანსო კრიზისმა? რამდენად შეეხება ის ქართულ ბანკებსა და სამშენებლო ბიზნესს? რამდენად სასარგებლოა ყოფილი პრემიერ-მინისტრის, ზურაბ ნოღაიდელის ეკონომიკური რჩევები და რას გააკეთებენ საქართველოში შემოსული რუსული კომპანიები? ყველა ამ საკითხის შესახებ “ქრონიკა” ესაუბრა ეკონომიკის ექსპერტს, ლადო ააპავას:

– ბატონო ლადო, პირველ რიგში ვისაუბროთ მსოფლიოში არსებულ ფინანსურ კრიზისზე. ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ამ კრისიზის დასაძლევად 700 მილიარდი დოლარი გამოყო, რამდენად შესაძლებელია ამით კრიზისის დაძლევა?

– ამ 700 მილიარდი დოლარის გამოყოფა აუცილებელი იყო. ამ თანხის გამოყოფა გარანტია იმისა, რომ ფინანსური ბაზარი არ დაიშლება, რადგან მას გვერდით აშშ-ის მთავრობა უდგას. თავად კენჭისყრის დადებითი შედეგიც კი, ფულის მიცემამდე, არის დიდი მორალური მხარდაჭერა იმისთვის, რომ ფინანსურ ბაზარზე მოხდეს სტაბილიზაცია. ამ თანხების გამოყოფა აუცილებელია გაკოტრების პირას მყოფი ფინანსური ჯგუფებისათვის და ეს არ არის წმინდა ამერიკული პრობლემა, არამედ ეს პრაქტიკულად არის მაგნიტი მთელი მსოფლიოს საფინანსო ბაზრებისაც. რადგანაც პოზიტიური ტენდენცია ჩამოყალიბდა ამერიკის საფინანსო ბაზარზე, ეს მთელ მსოფლიოზეც პოზიტიურად აისახება. ძალიან ძნელია იმის თქმა ეს 700 მილიარდი შეძლებს თუ არა საერთო კრიზისის დაძლევას. ჯერ ერთი ეს თანხა არ იქნება გამოყოფილი ერთ ტრანშად, არამედ საუბარია მის გარკვეულ ნაწილებად დაყოფაზე. მე მინახია ასეთი შეფასებებიც, სადაც საუბრობენ, რომ კრიზისის დასაძლევად 400-500 მილიარდიც საკმარისია,

ამბობენ იმასაც, რომ ტრილიონიც არ ეყოფა. ამიტომ იმის ზუსტად თქმა, რამდენად ეყოფა კრიზისის დაძლევას 700 მილიარდი დოლარი, ძალიან ძნელია. ერთი რამ ცხადია, რომ ამ თანხის ეტაპობრივად ხარჯვის პერიოდში გამოიკვეთება თუ რამდენად მიღის მდგომარეობა სტაბილიზაციისაკენ. ყოველ შემთხვევაში ეს თანხა საკმარისია იმისთვის, რათა უარყოფითი ტენდენციები შეჩერდეს.

**– რამდენად არის იმის საშიშროება, რომ ამ კრიზისის ტალღა შეეხოს საქართველოს ეკონომიკას?**

– საქართველოს ეკონომიკა და საფინანსო ბაზარი, თავისი განუვითარებლობის გამო დიდად არ არის ინტეგრირებული საერთაშორისო საფინანსო ბაზრებთან. აქედან გამომდინარე, ამ კრიზისს უშუალო დარტყმა საქართველოს საფინანსო ბაზარზე ვერ ექნება. თუმცა მოსალოდნელია ირიბი დარტყმები და უარყოფითი ეფექტები. თუ საფინანსო კრიზისი გაგრძლედება, ეს იმას ნიშნავს, რომ კიდევ უფრო მეტი პრობლემები შეექმნება ამერიკის სახელმწიფო ბიუჯეტს და იმ თანხას, რომელსაც მათგან დახმარების სახით უნდა მივიღოთ 1 მილიარდი დოლარის ოდენობით და რომლისგანაც ჯერ მხოლოდ 300 მილიონი დოლარია დამტკიცებული, შესაძლოა იმ ტემპით ვედარ მივიღოთ, როგორიც იმედი გვაქვს. თანაც ეს კრიზისი მარტო ამერიკით არ არის შემოფარგლული, გავრცელდება სხვა ქვეყნებზეც და ბუნებრივია ყველა ქვეყნიდან შესაძლო დახმარება, სულ ცოტა დაიგვიანებს დროში. ეს, რა თქმა უნდა დაგვაზარალებს. მეორეს მხრივ, ეს ფინანსური კრიზისი დიდი დარტყმის ქვეშ აყენებს დოლარის რეალურ მსყიდველობით უნარს. ასე რომ, თუ ეს კრიზისი გაგრძლედა დოლარის მსყიდველობითი უნარი დაცემა და იმ ერთი მილიარდის მსყიდველობითი უნარი, რომელიც საქართველოსთვისაა გამოყოფილი შესაბამისად ნაკლები იქნება. არის მესამე ფაქტორიც – ჩვენი ბანკები, როგორც წესი, მუშაობენ საერთაშორისო ბაზრებზე ნაშოვნი იაფი სესხებით და ამ კრიზისის შემთხვევაში მათთვის იაფი სესხები უკვე ადგილად ხელმისაწვდომი აღარ იქნება. ჩვენ გვახსოვს პერიოდი, ჯერ კიდევ ომამდე, როდესაც ქართულმა ბანკებმა სესხებზე საპროცენტო განაკვეთები აწიეს და ახლა, დმერთმა ნუ ქნას და თუ მსოფლიო კრიზისი გამწვავდა, ეს გამოიწვევს საპროცენტო განაკვეთების კიდევ მეტად გაზრდას. ყველაზე ცუდ შემთხვევაში, თუ მსოფლიოში ფინანსური ბაზრები დაინგრევა, ეს არ ნიშნავს,

რომ ამ ნგრევაში აუცილებლად მოყვება ქართული საფინანსო ბაზარი, მაგრამ მას ურთულესი პრობლემები შეექმნება.

– ბანკების კრიზისთან და საპროცენტო განაკვეთების გაზრდასთან პირდაპირ არის დაკავშირებული სამშენებლო ბიზნესის პრობლემები. უკვე საუბრობენ იმაზე, რომ რამდენიმე სამშენებლო კომპანიას სერიოზული პრობლემები შეექმნა. თქვენი ინფორმაციით, მართლაც არის თუ არა ასე და რა უნდა გაკეთდეს, რომ ამ პრობლემამ მასობრივი სახე არ მიიღოს?

– ჩვენ ომამდეც გვისაუბრია იმ საფინანსო “პირამიდებზე”, რომელიც ჩამოყალიბდა სამშენებლო სექტორში. ჯერ კიდევ მაშინ ვაკეთებდით პროგნოზეს, რომ ამ წლის ბოლოსთვის რამდენიმე სამშენებლო კომპანიას უნდა შეექმნოდა ფინანსური პრობლემები. ეს პროცესები ომრა უბრალოდ დააჩქარა და ამაში გასაკვირი არაფერი არ არის. აქ დგას ამ პრობლემის გადაწყვეტის ორი გზა. ერთი გზაა ის, რომელსაც გვთავაზობს საქართველოს ყოფილი პრემიერ მინისტრი, ბატონი ზურაბ ნოღაიძელი. მისი აზრით უცხოეთიდან მიღებული ფულით, მათ შორის ამერიკიდან მიღებული 1 მილიარდი დოლარიდან, დახმარება უნდა აღმოუჩინონ სამშენებლო ბიზნესს. იგი ამბობს იმასაც, რომ სამშენებლო ბიზნესში მიღწეული სტაბილურობის შემთხვევაში დამშვიდდება საფინანსო სექტორიც და ბანკებიც. რას გვთავაზობს მთავრობა ამ პრობლემების მოსაგვარებლად, ეს ჯერჯერობით ცნობილი არ არის. ჩემი აზრით, თუკი საერთოდ იქნება სახელმწიფოს მხრიდან დახმარება, პირველ რიგში უნდა დაეხმარონ სამშენებლო ბიზნესის ძირითად წყაროს. წყარო ამ შემთხვევაში არის საბანკო სექტორი. თუ საბანკო სექტორს კვლავ გაუჩნდა შედარებით ხელმისაწვდომი საკრედიტო რესურსი, ის თავად გაართმევს თავს მშენებლობაში არსებულ პრობლემებს. ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ არც ერთ სამშენებლო კომპანიას პრობლემები არ შეექმნება. შეექმნება, მაგრამ ეს პრობლემა არ მიიღებს საყოველთაო ხასიათს. რაც შეეხება საკითხს იმის შესახებ, უნდა დაიხმარჯოს თუ არა ამერიკიდან მიღებული 1 მილიარდი დოლარი ამაზე, ჩემი ღრმა რწმენით არა. ეს თანხა ამისთვის არ არის. ჩვენმა ბანკებნა საკრედიტო რესურსისათვის საჭირო თანხები უნდა მოიძიონ საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან. მაგალითად, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციიდან და ა.შ. ამ მიზნით შეიძლება

გამოყენებულ იქნეს საქართველოს ეროვნული ბანკის რეზერვებიც, რომლებიც უახლოეს ხანებში უნდა გაიზარდოს საერთაშორისო სავალუტო ფონდიდან მისაღები 750 მლნ აშშ დოლარით.

– ამის გარდა ნოღაიდელმა რამდენიმე ეკონომიკური „რჩევაც“ მისცა ხელისუფლებას. თქვენი აზრით, ხელისუფლებაში ყოფნის პერიოდში მას არ პქონდა იმის შესაძლებლობა, რომ დღეს ქვეყნის ეკონომიკური მდგომარეობა უკეთესი ყოფილყო?

– ჩემი აზრით მისი მხრიდან რამდენიმე კურიოზული მოსაზრება დაფიქსირდა. მან თქვა, რომ, როცა ის იყო პრემიერ მინისტრი, იყო მენეჯერი და ახლა უნდა პილიტიკაში დაბრუნდეს, როგორც პოლიტიკოსი. ცოტა გაუგებარია, თუ პოლიტიკაში პოლიტიკოსად დაბრუნება უნდა, გამოდის, რომ პოლიტიკაში შეიძლება არაპოლიტიკოსებიც იყვნენ. ცნობილია, რომ როდესაც ადამიანი პოლიტიკაშია, ის უკვე პოლიტიკოსია. სხვა საკითხია, კარგი პოლიტიკოსია თუ ცუდი. რაც შეეხება მენეჯერს, საქმე იმაშია, რომ პრემიერ მინისტრი არ შეიძლება იყოს მენეჯერი, ან მინისტრი იყოს მენეჯერი. მენეჯერი უშუალოდ ბიზნესთანაა დაკავშირებული, ის ბიზნეს სტრუქტურის ხელმძღვანელია, ხოლო მთავრობაში მოღვაწე კი არის სახელმწიფო მმართველი. სამწუხაროდ ძალიან ბევრმა ამ ორ ტერმინს შორის განსხვავება არ იცის. თუმცა, პოლიტიკა რაშია იცით? მე ვფიქრობ, რომ ბატონი ზურაბ ნოღაიდელის აღიარება საკმაოდ გულრწყელია, იმიტომ, რომ მენეჯერობა მისთვისაც დამახასიათებელია და მისი შემცვლელი გურგენიძისთვისაც. ისინი მართლაც მენეჯერები არიან და მთელს ქვეყანას, საქართველოს, როგორც ბიზნეს სტრუქტურას განიხილავენ. თუმცა ჩვენს ქვეყანაში განა მარტო ესაა არეული?

– ნოღაიდელმა ისიც თქვა ჩემი პრემიერობის დროს საქართველო ომს არ აპირებდა და რუსული კაპიტალის შემოდინება დანაშაული არ იყოო...

– კარგად გამიგეთ. საქართველო ყოველთვის იყო მშვიდობისმოყვარე ქვეყანა და არც არასოდეს არ უნდა აპირებდეს ომს, მაგრამ იმავდროულად ყოველთვის მზად უნდა იყოს ომისათვის. მით უმეტეს მაშინ, როცა ტერიტორიები აქვს დაკარგული. ხელისუფლება, რომელიც ყოველწლიურად სამხედრო ბიუჯეტს ზრდიდა და ამ პოლიტიკის ბატონი ნოღაიდელი ხან ფინანსთა მინისტრი იყო და ხან პრემიერ-მინისტრი, რატომ აკეთებდა ამას თუ

სამხედრო ოპერაციებს საერთოდ გამორიცხავდა? თუ, რასაც თავდაცვის სამინისტრო ეუბნებოდა ნოღაიდელი გაუაზრებლად აკეთებდა? თუ, არ იცოდა ის, რომ რუსეთის ე.წ. სამშვიდობო ძალები აკონტროლებდნენ აფხაზეთსა და სამხედრო ოსეთს და რეალურად ისინი საოკუპაციო ჯარები იყვნენ? აქედან გამომდინარე, ნოღაიდელის განცხადება, რომ, თურმე მაშინ რუსეთის კაპიტალის შემოსვლა საქართველოში საშიში არ იყო და ახლა გახდა საშიში, ეს უფრო იაფფასიანი თავისმართლებაა ვიდრე რეალური არგუმენტი. სხვა რეკომენდაცია მე ნოღაიდელის მხრიდან არ მინახია, გარდა იმისა, რომ ლანძღავს მთავრობას. ჯობია ლანძღვიდან საქმეზე გადავიდნენ, როგორც ყოფილი, ასევე მოქმედი პრემიერ მინისტრი, რადგან მათ კარგად უნდა ახსოვდეთ მათი პოლიტიკური გუნდის ბოლო არჩევნების მთავარი ლოზუნგი – “საქმე ლაპარაკის ნაცვლად”...

– ჩვენ ასევე გვისაუბრია რუსული კაპიტალის საშიშროებაზე საქართველოში. ბოლო დროს, ხომ არ შეგინიშნავთ რაიმე ტენდენცია იმისა, რომელიც მიანიშნებს იმაზე, რომ რუსეთმა ეკონომიკური ბერკეტები ამ კომპანიების მეშვეობით აამოქმედა?

– დღეს რა ვითარებაც შეიქმნა საერთაშორისო პოლიტიკურ დონეზე საქართველოსთან მიმართებაში, ვფიქრობ, ზრდის იმის ალაბათობას, რომ რუსულმა კომპანიებმა არ მიმართონ რაიმე დესტრუქციულ ქმედებებს, და პირიქით, კონსტრუქციული ქმედებები ამჯობინონ. დღეს რუსული ოფიციალური პოლიტიკური სახე ასე ყალიბდება, რომ საქართველოში ცუდია ხელისუფლება, ცუდია სააკაშვილი, ხოლო ქართველები თურმე ძალიან საყვარელი ადამიანები არიან რუსეთის პოლიტიკური ელიტისათვის; ანუ, კრემლი იყენებს საქართველოს ორ ნაწილად გაყოფას: ერთის მხრივ, საქართველოს კარგი მოსახლეობა და მეორეს მხრივ, მისი ცუდი ხელისუფლება. თუმცა ჩვენ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ, როდესაც რუსები გვბომბავდნენ, ბომბავდნენ არა მთავრობის კანცელარიას ან პარლამენტს, არამედ ბომბაბდნენ იმ სოფლებსა და ქალაქებს, სადაც ჩვენი რიგითი მოსახლეობა ცხოვრობდა. აქედან გამომდინარე, ვიმედოვნებ ამ რუსულ ფანდს საქართველოს მოსახლეობა არ წამოეგება, მაგრამ მეორეს მხრივ ამ „პეთილგანწყობის“ დასამტკიცებლად შესაძლოა რუსეთის სახელმწიფოს კონტროლქვეშ მყოფმა კომპანიებმა გააგრძელონ თავიანთი საქმიანობა

ყოველგვარი დესტრუქციული ქმედებების გარეშე, რათა ამით “დაამტკოცონ”  
თავისი “სიყვარული” რიგითი ქართველებისადმი...

**დიმიტრი ტიპარაძე**